სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის

ბრძანება

ქ. გორი

MOD 5 20 00000036

30/01/2020

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრის (სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის წარმომადგენლის) არჩევნების გამოცხადების შესახებ

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 14 მარტის №16 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში - აკადემია) წესდების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის, აკადემიაში არჩევითი მართვის ორგანოების არჩევნების წესის მე-14 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრის (აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის წარმომადგენლის) არჩევნები 2020 წლის 27 იანვრიდან;
2. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2020 წლის 27 იანვრიდან და დასრულდეს 2020 წლის 7 თებერვალს;
3. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის უფლება აქვს კოლეჯის საბჭოს წევრს (კოლეჯის აკადემიური პერსონალი, კურსის უფროსები და ინსტრუქტორები);
4. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე აკადემიის საარჩევნო კომისიაში, შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კილომეტრი;
5. არჩევნები ჩატარდეს 2020 წლის 14 თებერვალს;
6. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატებმა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის საბჭოს წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (შესაბამის თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის ბრძანება).

7. დაევალოს აკადემიის საარჩევნო კომისიას აკადემიური საბჭოს წვერის (სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის წარმომადგენლის) არჩევნების კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარება;
8. ბრძანება ეცნობოს დაინტერესებულ პირებს, გამოცხადდეს საჯაროდ, აკადემიაში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით, მათ შორის კოლეჯში, ასევე განთავსდეს აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემია \ მმართველობა
რექტორი
ბრიგადის გენერალი მალხაზ მაკარაძე